PER TRADITIONES AD FUTURUM

# სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გამოცემა

გამოდის 1957 წლიდან

№7 (295) სექტემბერი, 2016 წელი

# გილოცავთ ახალ, 2016/2017 სასწავლო წელს!

## თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი 2016 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების მონაცემების მიხედვით კვლავაც ლიდერია!




66 ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან (უსგ) კონკურსი ერთ ვაკანტურ ადგილზე ერთი და მეტი პირველადი განაცხადით დაფიქსირდა 15 უსგ-ში. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში პირველადი საკონკურსო განაცხადების მაჩვენებელმა ერთ ვაკანტურ ადგილზე შეადგინა 2,41.

საყურადღებოა, რომ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ე.წ . უფასო საგანმანათლებლო პროგრამები თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში არ ხორციელდება.

წინა წლებთან შედარებით მისაღები კონტინგენტის რაოდენობის შემცირების და ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მინიმალური კომპეტენციის ზღვრის მომატების მიუხედავად (55%+1, ზოგიერთ პროგრამაზე – 75%+1), თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი რჩება შესაბამისი პროფილის სასწავლებლებს შორის ყველაზე მოთხოვნად უმაღლეს სამედიცინო სკოლად. ეროვნული გამოცდებით ჩარიცხული აბიტურიენტების შესახებ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის 2015 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, აბიტურიენტთა ინტენსიური მომზადების ცენტრის მიერ შედგენილ რეიტინგულ ტოპ-ათეულში ჩარიცხული აბიტურიენტების საკონკურსო ქულების საშუალო მაჩვენებლების მიხედვით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მეორე ადგილს იკავებს (ამასთან, საყურადღებოა, რომ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ე.წ. უფასო საგანმანათლებლო პროგრამები თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში არ ხორციელდება).

## უნივერსიტეტების რანჟირება

### პირველადი საკონკურსო განაცხადების მაჩვენებლების მიხედვით 2016 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების მონაცემებით

| | | |
|---|---|---|
| 1 | ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 2.73 |
| 2 | თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი | 2.41 |
| 3 | საქართველოს შინაგან საქმეთა აკადემია | 2.30 |
| 4 | სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის საზღვაო აკადემია | 1.99 |
| 5 | ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი | 1.93 |
| 6 | ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი | 1.89 |
| 7 | თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი | 1.78 |
| 8 | საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი | 1.77 |
| 9 | დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია | 1.48 |
| 10 | საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი | 1.45 |
| 11 | თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია | 1.21 |
| 12 | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | 1.16 |
| 13 | აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 1.09 |
| 14 | ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი | 1.06 |
| 15 | თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია | 1.03 |

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი – გზის დასაწყისი წარმატებისა და პროფესიონალიზმისაკენ**

C M Y K



# გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

**ძვირფასო სტუდენტებო, კოლეგებო!**
**გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას ყველას – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებს და, განსაკუთრებით, – პირველკურსელებს, აკადემიურ პერსონალს, საუნივერსიტეტო კლინიკების თანამშრომლებს, მკვლევარებს, ადმინისტრაციას!**

ახალი სასწავლო წელი განსაკუთრებულია პირველკურსელებისათვის. მადლობას გიხდით, რომ აირჩიეთ ჩვენი უნივერსიტეტი. აქ, უმდიდრეს ტრადიციებზე და გამოცდილებაზე დაყრდნობით, მიიღებთ ცოდნას, რაც მომავალში თქვენი წარმატებული პროფესიული საქმიანობისა და ნათელი მომავლისკენ წინსვლის საწინდარი იქნება. თქვენთვის ეს ახალი ცხოვრების დასაწყისია და ამიტომაც მსურს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სახელით, განსაკუთრებით მოგესალმოთ და წარმატებები გისურვოთ ახალ სარბიელზე!

ახალი სასწავლო წლის დაწყებას ვულოცავთ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, რომელთა თავდადება და, ყოველდღიური შრომა ჩვენი უნივერსიტეტის მუდმივი წინსვლის საფუძველი იყო და დარწმუნებული ვარ, ახალ სასწავლო წელსაც ჩვეული ერთგულებით და პასუხისმგებლობით მოემსახურებით საყვარელ საქმეს — მომავალი კადრების აღზრდას, მეცნიერების განვითარებას, პაციენტზე ზრუნვასა და წარმატებულ კლინიკურ საქმიანობას. ჩვენი საერთო პასუხისმგებლობა ძალიან დიდია, რადგანაც ადამიანის სიცოცხლეს ვემსახურებით, ამას კი მაღალი პროფესიონალიზმი და თავდაუზოგავი შრომა სჭირდება.

სასწავლო წლის დაწყებას ვულოცავ ჩვენს უცხოელ სტუდენტებს, რომელთა რიცხვმაც 2000-ს გადააჭარბა. სამედიცინო უნივერსიტეტში მათ გულისხმიერი დამოკიდებულება და სწავლების მაღალი ხარისხი დახვდებათ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კარი ღიაა არა მარტო უცხოელი სტუდენტების, არამედ საერთაშორისო დონის პროფესურის, მკვლევარებისა და ექიმებისთვის. 2012-2016 წლებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ეწვია 300-ზე მეტი პროფესორი ევროპის, აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, თურქეთის, ისრაელის წამყვანი უნივერსიტეტებიდან და კლინიკებიდან. მათ წაიკითხეს თემატური ლექციები საბაზისო და კლინიკური მედიცინის სხვადასხვა დარგში სტუდენტების, რეზიდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ჩვენ მიერ მოწვეული უცხოელი სპეციალისტების მიერ ჩატარდა 100-ზე მეტი საქველმოქმედო ოპერაცია.

ჩვენ ვუფრთხილდებით ტრადიციებს. სამედიცინო უნივერსიტეტის ისტორია, რეალურად, ქართული სამედიცინო განათლების და მეცნიერების განვითარების ისტორიაა; ვამაყობთ, რომ სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები სადღეისოდ ბევრ წამყვან კლინიკას და დაწესებულებას ამშვენებენ საქართველოში, ევროპასა და მთელ მსოფლიოში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა მყარი და გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრა მსოფლიო სასწავლო-სამეცნიერო თუ პროფესიულ სივრცეებში. სამედიცინო უნივერსიტეტს მჭიდრო კავშირი აქვს მსოფლიოს მრავალ სასწავლო, სამეცნიერო, კლინიკურ ცენტრთან.

ბოლო 4 წლის მანძილზე უნივერსიტეტს შეემატა ახალი ერთობლივი საერთაშორისო პროგრამები: დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა, რომელიც ემორის (ატლანტა, აშშ) უნივერსიტეტთან ერთად ხორციელდება; საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მენეჯმენტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები, სადაც ჩვენი პარტნიორები არიან პარიზის მენეჯმენტისა და აღსრულების აკადემია „უნიმენი“ და გრენობლის (საფრანგეთი) უნივერსიტეტი; საექთნო საქმის ქართულ-ავსტრიული პროგრამა, რომელიც TILAK-ის დასავლეთის საგანმანათლებლო ცენტრთან თანამშრომლობით ხორციელდება.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურის ორგანიზებით, ყოველწლიურად ტარდება ზამთრის და ზაფხულის სტაჟირების პროგრამა უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის სტუდენტისთვის.

ერთობლივი საერთაშორისო პროექტების – ERASMUS MUNDUS, ERASMUS+, MEVLANA-ს ფარგლებში, ყოველწლიურად უნივერსიტეტის 300-ზე მეტი სტუდენტი, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი მონაწილეობს მოკლე თუ გრძელვადიანი სტაჟირების პროგრამებში.

საინტერესო და დინამიკური საგანმანათლებლო პროგრამები, კვალიფიციური პროფესურა, ეფექტური მენეჯმენტი, განათლებისა და საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის მაღალი სტანდარტი, თანამედროვე საგანმანათლებლო-კვლევითი ინფრასტრუქტურა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საერთაშორისო ასპარეზზე მზარდი წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორებია.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური განვითარების ახალი სისტემა და კარგად აღჭურვილი გადამზადების ცენტრი, სადაც ხორციელდება აკადემიური პერსონალის ინტენსიური გადამზადება სამედიცინო განათლების თანამედროვე მეთოდოლოგიაში.

კლინიკური სექტორის, საუნივერსიტეტო კლინიკების განვითარება და აკადემიურ პროცესში მათი ორგანული ჩართვა 2009 წლის შემდგომ, იყო და არის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის, მისი თითოეული სტრუქტურული ერთეულის ზრუნვის და ინტერესის საგანი. სერიოზული გარღვევა ამ მხრივ იყო, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკასთან ერთად, პირველი საუნივერსიტეტო მრავალპროფილიანი კლინიკის ამოქმედება, რასაც წინ უძღვოდა მეტად შრომატევადი და რთული სამუშაო. ზემოაღნიშნული საუნივერსიტეტო კლინიკები სამ სტომატოლოგიურ კლინიკასა და უნივერსიტეტთან აფილირებულ ასზე მეტ სამედიცინო დაწესებულებასთან ერთად, სამედიცინო განათლების მაღალ სტანდარტს უზრუნველყოფს.

კვლავაც ძალისხმევას არ დავიშურებთ, რათა ჩვენმა სტუდენტებმა შესაფერის აკადემიურ გარემოში მიიღონ განათლება, მომავალშიც ერთად განვამტკიცებთ სამედიცინო უნივერსიტეტის სახელოვან ტრადიციებს კონკურენტუნარიანი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ექიმებისა და ექთნების, ფარმაცევტების და ჯანდაცვის ორგანიზატორების აღზრდის საქმეში, ერთად დავიცავთ მოქალაქეობრივ, პროფესიულ და ზნეობრივ პრინციპებს, შევინარჩუნებთ ექიმისა და მასწავლებლის მაღალ რეპუტაციას, ერთად ვიდგებით ადამიანთა ჯანმრთელობისა და, საზოგადოდ, – ქვეყნისა და ხალხის სამსახურში...

ახალი სასწავლო წლის დაწყებას ვულოცავ ჩვენს მრავალრიცხოვან გულშემატკივარსა და პარტნიორს, ვისაც წვლილი შეაქვს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წინსვლასა და განვითარებაში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები და ადმინისტრაცია ყველაფერს გააკეთებს მშობლიური უნივერსიტეტის მომავალი გამარჯვებებისთვის, ჩვენი ქვეყნის წინსვლისთვის.

**პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია,**
**რექტორი**

## თქვენ ყველაზე მნიშვნელოვანი უნივერსიტეტის სტუდენტი გახდით!

ახალი სასწავლო წლის დაწყებას ვულოცავ ყველა სტუდენტს, განსაკუთრებულად კი – პირველკურსელებს! ვულოცავ მათ იმ წარმატებას, რასაც მიაღწიეს — გახდნენ სტუდენტები! თქვენ პირველი სერიოზული ნაბიჯი გადადგით, რომელმაც ცხოვრების რთულ, მაგრამ ყველაზე საინტერესო გზაზე უნდა გაგიყვანოთ.

თქვენ ყველაზე მნიშვნელოვანი უნივერსიტეტის სტუდენტები გახდით. გერქვას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი ხომ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა, დიდი შრომა და ტვირთია, რაც ღირსეულად უნდა ატაროთ. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად, ყველაზე წარმატებული აბიტურიენტების დიდმა ნაწილმა უპირატესობა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს მიანიჭა და ჩვენი სტუდენტი გახდა.

ვუსურვებთ ყველა სტუდენტს იყოს საზოგადოებისა და ჯანსაღი საგანმანათლებლო გარემოს აქტიური მშენებელი, რომლის შექმნაშიც ჩვენც შევუწყობთ ხელს! ასევე, ვუსურვებთ ნაყოფიერად გამოიყენონ სტუდენტობის წლები, რათა მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებად ჩამოყალიბდნენ და გაამართლონ ის იმედები, რასაც ქვეყანა, საზოგადოება და უნივერსიტეტი მათზე ამყარებს! აქ ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ მაქსიმალურად მოახდინოთ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება.

თქვენთვის დღეს სრულიად ახალი ეტაპი იწყება – გზა, რომელსაც სტუდენტური ცხოვრება ჰქვია. ეს არის სიღრმისეული ცოდნისა და გამოცდილების შეძენის დასაწყისი. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი და უნივერსიტეტის თვითმმართველობა მზადაა, ყველა პირობა შეგიქმნათ არა მხოლოდ ცოდნის და სამეცნიერო უნარ-ჩვევების შეძენის, არამედ ძალიან საინტერესო და სისხლსავსე სტუდენტური ცხოვრებისთვის.

თვითმმართველობა საინტერესოდ და შემოქმედებითად გაამრავალფეროვნებს თქვენს სტუდენტურ ცხოვრებასა და სასწავლო რეჟიმს. გთავაზობთ ექსკურსიებს საქართველოს ისტორიულ ძეგლებსა და სხვადასხვა კუთხეებში, რაც დაგეხმარებათ დაახლოებასა და ერთმანეთის უკეთ გაცნობაში; გასართობ, ინტელექტუალურ და სახალისო თამაშებს; ასევე, სხვადასხვა სახის კონფერენციებს, ტრენინგებს, სადაც მონაწილეებსა და გამარჯვებულებს გადმოგეცემათ სერტიფიკატები; სპორტულ ღონისძიებებს, შიდა და გარე ჩემპიონატებს, წვეულებებსა და კიდევ უამრავ საინტერესო აქტივობას. შემოგვიერთდით და ერთად დავგეგმოთ და გავატაროთ სტუდენტობის ლამაზი წლები.

**გიორგი სალინაძე,**
**თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი**

**www.tsmu.edu - ყველა ინფორმაცია**
**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შესახებ**

**ახალი სასწავლო წლის დაწყება მნიშვნელოვანი მოვლენაა. ის განსაკუთრებულია მათთვის, ვინც ახლა იწყებს სწავლას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, მათთვისაც, ვინც უკვე III, V თუ XI სემესტრის სტუდენტია, მათთვისაც, ვინც მრავალი წელია მუშაობს აქ. შესაძლებლობას გაძლევთ, გააკეთოთ სამახსოვრო ჩანაწერი: დააფიქსიროთ თქვენი ემოცია, მიზნები, იმედები, ჩანაწერი გააკეთებინოთ თქვენთვის პატივსაცემ ადამიანებს. ეს რელიკვია წლების შემდეგაც გაგახსენებთ ამ დღის ემოციას, დაამშვენებს თქვენი სამუშაო კაბინეტის კედლებს.**

**ბედნიერ სასწავლო წელს გისურვებთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი**



# თქვენ საუკეთესო არჩევანი გააკეთეთ!

მინდა მოგილოცოთ ეროვნულ გამოცდებზე მოპოვებული გამარჯვება და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ჩარიცხვა. თქვენ საუკეთესო არჩევანი გააკეთეთ. დიდად ვაფასებ თქვენს გადაწყვეტილებას ამ ურთულესი, მაგრამ მეტად ჰუმანური და საინტერესო პროფესიის არჩევის გამო. თქვენ აირჩიეთ ექვსწლიანი რთული გზის გავლა კავკასიის რეგიონში ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ საგანმანათლებლო ცენტრში, თქვენ მოხვდით გარემოში, სადაც მყარი და საფუძვლიანი ცოდნის შეძენაში დაგეხმარებიან გამოცდილი, მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები.

გახდე სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი, ნიშნავს, წარმატებით გაიარო უაღრესად რთული შერჩევითი კონკურსი და დაადასტურო, რომ ხარ ნიჭიერი და შრომისმოყვარე. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში თქვენ უნდა შეძლოთ და მოახდინოთ საკუთარი თავის რეალიზება და მაქსიმალურად გამოიყენოთ არსებული რესურსი, გახდეთ კრეატიულები, მოამზადოთ საკუთარი თავი დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობისთვის და გაუმკლავდეთ გამოწვევებს, როგორც უკვე ზრდასრული პიროვნებები.

ისწავლო მედიცინის ფაკულტეტზე — ეს უკვე პრივილეგირებული პოზიციაა, რაც, ასევე, ნიშნავს, ყოველდღიურად იყო ჩაბმული სწავლის მარათონში, რათა ჩამოყალიბდეთ მომზადებულ, კვალიფიციურ, კონკურენტუნარიან ექიმად და მკვლევრად; პიროვნებად, რომელიც ყველაფერს გააკეთებს პაციენტის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის გადასარჩენად.

როგორც ფაკულტეტის დეკანი, ვამაყობ იმით, რომ საშუალება გვაქვს შემოგთავაზოთ საუკეთესო საგანმანათლებლო პროგრამები. უნივერსიტეტში თქვენ დაგხვდებათ უმაღლესი დონის აკადემიური პერსონალი, ისარგებლებთ კოლეგიალობის ატმოსფეროთი ერთმანეთთან, პროფესორ-მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან. სწავლის პერიოდში საშუალება გექნებათ, გაიაროთ სტაჟირება ჩვენი უნივერსიტეტისა და მსოფლიოს წამყვანი სამედიცინო სკოლების კლინიკებში. გარდა სწავლისა, უნივერსიტეტი მრავალფეროვან სტუდენტურ ცხოვრებასაც შემოგთავაზებთ. მჯერა, რომ თქვენ შეგიძლიათ, შემატოთ რაღაც ახალი, საინტერესო და მრავალფეროვანი ჩვენს სასწავლებელს.

თქვენ, უკვე ჩვენი საზოგადოების წევრები, მიიღებთ განათლებას, რომელიც მუდამ განვითარებისა და ტრანსფორმირების პროცესშია. 21-ე საუკუნეში ცოდნის დონე და მნიშვნელობა საზოგადოების აქტუალური პრობლემების თანხვედრი უნდა იყოს და ვითარდებოდეს ახალი ტექნოლოგიების კვალდაკვალ. შესაბამისად, თითოეული სტუდენტის პიროვნული და ინტელექტუალური პოტენციალის განვითარების მიღწევა მხოლოდ მრავალმხრივი და საფუძვლიანი განათლებითაა შესაძლებელი.

ჩვენ დიდად ვაფასებთ და ვითვალისწინებთ თქვენს გულწრფელ სურვილს, ახლო მომავალში, დაავადებათა პრევენციითა და მკურნალობით, გააუმჯობესოთ ადამიანთა ცხოვრება. ამიტომ მოგიწოდებთ, გამოიყენოთ ყველა შესაძლებლობა, რასაც ამ მიზნის მისაღწევად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი გაძლევთ, ნუ დაზოგავთ დროსა და ენერგიას.

ჯანდაცვის სფეროში ყოველდღიურად ვხვდებით გამოწვევებს, რომლებიც ითხოვენ ახალ იდეებს, ინტერდისციპლინური პრობლემების გადაწყვეტას, ექიმი უნდა იყოს კომპეტენტური და თავდაჯერებული, რათა შეასრულოს მრავალფუნქციური და მოთხოვნადი საქმე. ცნობილია, რომ ახალი დრო ახალ რეალობებს გვთავაზობს და თვალი უნდა გავუსწოროთ ამ რეალობებს ჩვენი პროფესიონალიზმით. მჯერა, რომ თქვენც შემოგვიერთდებით და ერთიანი ძალისხმევით გავაუმჯობესებთ ჯანდაცვას 21-ე საუკუნეში.

სიცოცხლე და ჯანმრთელობა ადამიანის უძვირფასესი ღირებულებებია და მათზე ზრუნვა ხდის მედიკოსის პროფესიას საჭიროს, პრესტიჟულს და მნიშვნელოვანს. ექიმები ღირსეულად ასრულებენ თავიანთ კეთილშობილურ მისიას. იმედი მაქვს, მომავალში თქვენც წარმატებულად წარმოაჩენთ ქართული სამედიცინო სკოლის სახელს.

კეთილი იყოს თქვენი გზა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში.

**პროფესორი თინათინ ჩიქოვანი,**
**მედიცინის ფაკულტეტის დეკანი**

# წინსვლის საწინდარი

სტომატოლოგიის ფაკულტეტი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და წარმატებულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში. ვიმედოვნებ, რომ ჩვენს ფაკულტეტს თქვენი სახით კიდევ ერთი ღირსეული თაობა შეემატა. ჩვენც მზად ვართ შესაბამისად ვუპასუხოთ თქვენს მოთხოვნებს ცოდნის შეძენასთან დაკავშირებით.

თქვენ მიერ არჩეული ფაკულტეტი დიდი ტრადიციებით გამორჩეულია და, როგორც მრავალწლიანმა გამოცდილებამ ცხადყო, ექიმი სტომატოლოგის ჩამოსაყალიბებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კლინიკურ ბაზებს. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ძალ-ღონეს არ იშურებს სასწავლო პროცესში თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ძლიერი და გამართული კლინიკური ბაზების ჩასართავად. სწორედ ამის დასტურია მაღალპროფესიული კადრებით დაკომპლექტებული საუნივერსიტეტო კლინიკები, სადაც სტუდენტებთან პრაქტიკული მეცადინეობა მიმდინარეობს პაციენტების დემონსტრირებით და დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროცესში მათი მაქსიმალური ჩართულობით.

2010 წლიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, პირველად სტომატოლოგიის ფაკულტეტზე, დაინერგა ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა – OSCE, სადაც ფასდება არა მხოლოდ თეორიული ცოდნა, არამედ სტუდენტის მიერ სწავლის პერიოდში ათვისებული პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სისტემატურად ჩამოდიან პროფესორები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან (გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ბრაზილია, ჩეხეთი, უკრაინა, ლიტვა და ა. შ.), რომლებიც სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის კითხულობენ ლექციებს.

ძვირფასო პირველკურსელებო, ჩვენ ერთ მიზანს ვემსახურებით: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული იყოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, აღჭურვილი ღრმა თეორიული ცოდნით და პრაქტიკული უნარებით, რაც საექიმო საქმიანობაში მისი წარმატების საწინდარი იქნება.

**პროფესორი სამსონ მღებრიშვილი,**
**სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანი**












# წარმატებებს გისურვებთ!

ჩვენო პირველკურსელებო, მინდა მოგილოცოთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტობა და გითხრათ: იყო ფარმაციის ფაკულტეტის სტუდენტი, დიდი წარმატება და, ამასთანავე, დიდი პასუხისმგებლობაცაა, ვინაიდან ამ არჩევანით თქვენი მომავალი საქმიანობა დაუკავშირეთ საზოგადოებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ბიოლოგიური ღირებულების პროდუქტს – წამალს.

ფარმაციას მნიშვნელოვანი როლი აკისრია ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში. მისი ძირითადი პროდუქტი წამალია, რომლის შემუშავებას, შესწავლას, წარმოებას, სტანდარტიზაციას, ხარისხის კონტროლს და პაციენტისთვის კვალიფიციური, რაციონალური ფარმაკოთერაპიული დახმარების აღმოჩენას ახორციელებს ამ დარგის სპეციალისტი – ფარმაცევტი.

ფარმაცია დინამიკური, სწრაფად ცვალებადი, მომავლის ტექნოლოგიებზე დაფუძნებული დარგია, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების აღზრდა. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებითაა შედგენილი ფარმაციის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები, რომელთა განხორციელებაშიც მონაწილეობენ შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე პროფესორები, რომლებიც არ დაიშურებენ ცოდნასა და გამოცდილებას იმისათვის, რომ თქვენ შეიძინოთ ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები, ჩამოყალიბდეთ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებად.

ბაკალავრიატის დასრულების შემდეგ შეგეძლებათ, დასაქმდეთ პრაქტიკულ ფარმაციაში ან ცოდნა გაიღრმავოთ მაგისტრატურაში ვიწრო სპეციალობების მიხედვით. ფაკულტეტზე ფუნქციონირებს 4 სამაგისტრო პროგრამა: „ფარმაციის მენეჯმენტი", „სამრეწველო ფარმაცია", „ფარმაცევტული ანალიზი", „ფარმაცევტული კოსმეტოლოგია და პარფიუმერია". მომავალი სასწავლო წლიდან ამოქმედდება კიდევ ორი სამაგისტრო პროგრამა – „კლინიკური ფარმაცია" და „სამედიცინო ქიმია".

მაგისტრატურის დასრულების შემდეგ, სპეციალობის მიხედვით პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად, შესაძლებელია სწავლის გაგრძელება დოქტორანტურაში, რაც დაგეხმარებათ აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი უნარების გაღრმავებაში.

სწავლასთან ერთად შეგიძლიათ ჩაერთოთ უნივერსიტეტის აქტიურ სტუდენტურ ცხოვრებაში და გამოავლინოთ თქვენი შესაძლებლობები.

კიდევ ერთხელ გილოცავთ და წარმატებებს გისურვებთ.

**პროფესორი დალი ბერაშვილი,**
**ფარმაციის ფაკულტეტის დეკანი**





# STUDY MEDICINE IN

# Tbilisi State Medical University –

# THE BEST MEDICAL UNIVERSITY WITH HUNDRED YARS OF HISTORY IN GEORGIA

## WE CONGRATULATE YOU ON THE OCCASION OF THE START OF THE NEW ACADEMIC YEAR!



Dear Students, Colleagues!

Administration of Tbilisi State Medical University, academic and representative councils and all academic personnel congratulates you on the occasion of the start of the new academic year!

As it is known a new academic year takes on great significance, met with sublime glorious, especially for first year students and that's why I would like to extend a special welcome to them and wish great success on their way leading to the professional development and bright future that your Alma-Mater - to be proud of you. Thanks for choosing our University.

Here, relying on the richest traditions and strong foundation you will get you'll get the knowledge that will guarantee your success in the professional activities and progress in your future career.

This is beginning of a new life, and that's why I want to extend a special welcome on behalf of Tbilisi State Medical University wishing success in your future arena.

I congratulate the University academic staff on the start of new academic year, the daily work and devotion of whom always served as a strong foundation for high rating of the University and its constant progress and I am confident they will continue their favorite job – education of future staff, development of medical thinking and sciences, patient care and successful clinical activities - with usual commitment and sense of responsibility.

I congratulate our international students on the start of the new academic year.

An important dynamics we observe – during the last 7 years a number of international students at Tbilisi State Medical University increased ten times as much, geographic area of our students expanded - nowadays, the citizens of 53 countries worldwide are studying at TSMU. I am confident and do hope that they will enjoy responsive attitude and high quality teaching at Tbilisi State Medical University.

I congratulate our partners, strong supporters and numerous alumni contributing to the progress and development of Tbilisi State Medical University on the occasion of the start of the new academic year and should emphasize that the success of our university might be considered as their success as well.

Together we can manage to strengthen traditions of the university to educate the competitive, highly qualified doctors, nurses, pharmacists, and health care organizers; to protect civil, professional and moral principles, to maintain the high reputation of doctors and teachers to serve people's health and country in general. I am sure that intellect, hard work and especially, love towards our university and profession will help us to overcome all the challenges step-by-step.

Students, academic staff and the administration of Tbilisi State Medical University will do their best for future victories of our native University and progress of our country in general.

**Professor**
**Zurab Vadachkoria,**
**Rector**



## WELCOME AND CONGRATULATE!

Welcome and congratulate the students and especially their families who supported and helped these students for so many years in obtaining their goal of entering Tbilisi State Medical University. Today you have entered in a new phase of your life with a dream for the future and we are proud to have you here at the place where big ideas and small details come together. University is preparing lifelong learners who will lead the way in global researches, science and education.

Tbilisi State Medical University is a progressive institution focused on student achievement and success. "Student's life" is one of the most exciting adventures of life. You understand more of yourself and about your capabilities. This life gives you freedom as you are at your own from now onwards. Study is going to be more difficult. Your responsibility and workload would also increase, but you have to be strong. Besides being full of hard work it also contains much of entertainment. You would be having a great faculty and teachers. This is your time now; you are going to take decision of your future career. Decide your path and work hard to achieve the destiny. Rise above all and make history.

Tbilisi State Medical University transforms your dream into reality.

**Assoc. Prof.**
**Davit Tophuria**
**Head of Department of International Students Education**



**TSMU takes very seriously its obligations to lead of its students to academic knowledge, personal confidence and professional success.**



# We hope you'll join us in improving healthcare for the 21st century.

Dear Students,

Welcome to the Medical Faculty of Tbilisi State Medical University.

Our Medical school is the most outstanding educational centre not only in Georgia but in whole Caucasus region. It is a place of learning and education. Our primary mission is to train competent and fully-rounded physicians and medical researchers who will devote themselves to seeking the truth.

Studying at university is a real contrast to being a learner at school and one of the real challenges is organizing your work and activities. University is a very different environment to school, with unique opportunities and challenges. You can no longer rely on your parents and instead you must sort things for yourself. Prepare to be independent. The majority of your learning is done outside the classroom, and you're expected to locate information by yourself.

Medical students represent an extremely limited selection of people your age and they will tend to be both very capable and hard working. Studying medicine is very much a marathon, not a sprint. It is a 6 year course. Being a medical student puts you in a very privileged position, among the very top students across the country.

As a dean of the faculty, I am proud of what we have to offer. You have joined our community at a time when higher education is undergoing rapid and dramatic transformation. We live in an era when knowledge is growing in importance in addressing the world's most pressing problems. We live in an era when human genome discoveries reach the bedside, minimally invasive and robotic techniques revolutionize surgery. We can soon realize the promise of new stem cell therapies.

We see health care challenges ahead that will require far more creative, inter-disciplinary problem solving from physicians than ever before. To do the most good for the most people, physicians of the future will need the confidence and competence to fill multiple demanding roles.

Our students enjoy an atmosphere of collegiality with each other and with our highly qualified faculty and administrators, who provide a superb education as well as personal support. Faculty of Medicine of Tbilisi State Medical University is a great place to get an education in medicine and you are here because you deserve to be and because you can bring something new and exciting to this diverse learning community.

We hope you'll join us in improving healthcare for the 21st century.

So again welcome to Medical Faculty of the Tbilisi State Medical University.

**Professor**
**Tinatin Chikovani**
**Dean of the Faculty of Medicin**





# All my best wishes for your success

It is my great pleasure to welcome first-year students and congratulate you on the beginning of a new, special stage in your life. You have chosen a dynamic and challenging health profession dedicated to improving and maintaining physical mobility, independence, health and well-being.

Faculty of Physical Medicine and Rehabilitation is the youngest and rapidly developing faculty of the TSMU. Modern rehabilitative medicine is a crucial component to effective health care, and like many disciplines within health care, is often a calling for the strongest professionalism and permanent knowledge update.

Professors - the faculty and staff will put much time and effort into teaching you rehabilitation principles and programs, rehabilitation system and practices, current and developing rehabilitation technologies. Academic staff is committed to providing an education program that is well-grounded in the basic, social and clinical sciences in order to produce competent and compassionate clinicians who are skilled in the areas of critical thinking and inquiry, clinical problem-solving, making evidence-based clinical decisions; helping you develop the knowledge, skills and experience you need to effectively solve the strongest health problems during your professional career.

You will obtain research skills and will be involved into the students' research projects.

You will learn and work as part of a team. Health care, today, is more and more delivered by teams of professionals from different disciplines working in collaboration to provide the best and safest care possible. You will be prepared to function competently and creatively as members of a multidisciplinary team of professionals in a dynamic health care environment.

TSMU administration constantly cares for equipment of clinical bases of the faculty according to the current standards. You will study in different departments of basic and clinical sciences, work in a variety of clinical settings of the university and affiliated with the university.

We expect you to grow not just in knowledge but also in compassion and commitment during your time here and to use these traits wisely in serving your profession and society.

I offer you all my best wishes for your success. Congratulations!

**Professor Lela MASKHULIA**
**MD. PhD.**
**Dean of the Faculty of Physical Medicine and Rehabilitation**







# Studying here is the best decision
## I have made in my life

My name is Pravin Kishore Thangasamy. I joined Tbilisi State Medical University last year and now I'm going to second year. Studying here is the best decision I have made in my life. Tbilisi State Medical University being the largest university in the caucasian region has proved to be the transparent of all. Ensuring this the TSMU Student Self Government works to solve the problems and queries of students . The Self Government has helped the students with study and visa process work , guiding them and helping them. When we first arrived, the Self- Government under leadership from TharakaDunuwila, organized the freshers week for us first students. During the initial time the representative of the student self-government toured the University Departments and University Clinics. To cultivate and develop different culture and community the Self Government has organised different festivity parties. Many Georgian concerts have been set up to educate about the Georgian arts and culture to us . The Self Government having various branches itself has helped the budding talents in the University to take the spot light . Many debate competitionshave been conducted among the first year Faculty of medicine to find the talent and encourage them. A talent concert "Chrizellenz 2K16' was conducted and many first year showed up their talent. Working on its motto it always ensured that the voice of each student was delivered to the right person. Being the most active organization TSMU Student Self Government has been a big support and guide to us. I thank the Students Self Government for providing us with a wonderful and a memorable first year.

**Pravin Kishore Thangasamy**

**student of III semester**

**Tbilisi State Medical University offers you several ways:**
**the way to be professional...**
**the way to be better professional...**
**the way to be the best professional...**



# Welcome and congratulations on your acceptance to the American Program of TSMU

Tbilisi State Medical University has always been a pioneer of innovative and successful projects. One of those, American MD Program, established in collaboration with Emory University School of Medicine was launched in 2013-2014 educational year under the department of medicine at Tbilisi State Medical University (TSMU).

American MD Program is organized under the leadership of Professor Rima Beriashvili, Vice Rector of TSMU, Professor George Giorgobiani, Professor of Surgery, and Dr. Archil Undilashvili, Assistant Professor of Public Health at Emory University.

American MD Program is fully based on Emory School of Medicine curriculum and instruction is conducted in English. Emory University Professors along with their colleagues from TSMU are actively involved in planning, implementation and quality management of the United States medical education model in Georgia.

Drs. Kenneth Walker, Professor of Medicine and Neurology, Honorary Citizen of Georgia and Tbilisi, Bill Elley, Vice Dean for Education, Gordon Churchward, Assistant Dean for Education, Mary Jo Lechovitz, Professor of Oncology and other professors of Emory University School of Medicine regularly visit TSMU and conduct lectures and grand rounds for students and faculty of the American MD Program, as well as work on faculty development and program monitoring. Faculty and administration of the program from the TSMU also regularly visits Emory School of Medicine to observe the methodology of American Medical Education on site. Such collaboration and exchange of the professors and personnel between two institutions makes implementation and execution of new methodologies smoother and more efficient.

American MD Program provides students with the education and skills necessary to pass US Medical License examinations participate in clinical trainings at Emory's Clinical Bases in Atlanta, Georgia, USA and qualify for the medical residency programs in the United States of America.

Clinical Research externship and discovery phase opportunities with the world's leading research centers, such as Walter Reed Army Research Unit Georgia at the Lugar Laboratory in Tbilisi is one of the exciting highlights of the program.

program also provides various other opportunities, such workshops, clinical observerships, summer certificate programs, etc. at Emory University.

Education Model of the American MD Program includes complete integration of basic, preclinical and clinical subjects. This type of education has many benefits: basic knowledge is enriched with clinical aspects and basic subjects are taught in combination with clinical disciplines which eases clinical correlation of different disciplines associated with individual organ systems. Significant feature of integrated tuition is active demonstration of clinical cases (patient, simulated patient or clinical history), which helps students in development of independent clinical habits. The modern teaching methodologies of program contain but are not limited to problem solving, evidence based medicine, case presentation and participation in various interdisciplinary team work activities.

Along with the foundation subjects of medicine, significant accent is made on humanities, such as social-cultural and medical anthropology, history of civilization, history of art, philosophy, psychology, world literature, etc. Such curriculum enriches students' general education and assures successful communication skills with the future patients, colleagues and society in general.

Course called "Becoming a Doctor" starts in the beginning of the first semester and follows the curriculum throughout 6 years. Aiming at development of basic clinical and behavioral skills, such as bedside manners, history taking, clinical examination, etc. "Becoming a Doctor" Course prepares students for medical profession.

The working group, "Curriculum Committee", which includes professors as well as students of the American MD Program, is charged with identification, discussion and solution of the strengths, challenges, and opportunities as well as student and faculty affairs and is a firsthand gatekeeper for the quality of the program.

"Summer at Emory" - 4 week certificate program at Emory University is a course specially designed for the students of the American MD program. "Summer at Emory", introduces participants to US medical education, Health care System and Medical services. Highlight of this program is an opportunity to experience clinical activities at the bedside of the patient with the peer students and residents from Emory University School of Medicine.



Every summer, 10 to15 American MD Students attend "Summer at Emory" program in Atlanta, Georgia, USA. Program was first introduced in August 2013 and repeats every year since, thus, became a tradition for the second year students. 3rd group of the students is preparing to go to Emory University in August 2016.

Soon entire Tbilisi State Medical University and American MD Program will close its 2015-2016 academic year and start preparation to welcome new class of 2022.

Welcoming events for the incoming class are always filled with joy and celebration. Traditional event, marking students' transition from high school to medical society is highlighted with White Coat Ceremony. During the ceremony Rector of the University, professor Zurab Vadachkoria, His Excellency, Ambassador of The United States, other faculty and administrative personnel of TSMU, professors from Emory University other distinguished guests will put white coats on new students as a symbol of their entrance in to Medical profession.

Welcome and congratulations on your acceptance to the American Program of TSMU . We are thrilled that you will be joining our family!

**Archil Undilashvili,**
**MD MPH MBA MHA**
**FACP**
**Head of USMD program**
**Professor of**
**Behavioral Sciences and**
**Health Education**
**Emory University School of**
**Public Health**

# Increasing success of Tbilisi State Medical University on the international arena



The achievements of Tbilisi State Medical University (TSMU) in the field of International relations are of great significance. English-instructed medical educational programs, offered by Tbilisi State Medical University have 20 years of history. Nowadays, more than 2000 students from 58 countries worldwide (India, Sri Lanka, Turkey, the US, Canada, Israel, Germany, Nigeria, Iraq, Australia, Fiji, Central America, and etc.) are studying at TSMU. TSMU Faculty of Medicine offers medical education in English for international students since 1996; Faculty of Physical Medicine and Rehabilitation – since 2008, but the Faculty of Pharmacy - 2013, respectively. Since 2012 Russian-instructed MD programs for international students were launched at the Faculties of Medicine and Dentistry.

In 2012, Joint International Bachelor's Program in "Public Health and Management" with UniMan Academy of Management and Performance (France) was introduced by the TSMU Faculty of Public Health. Upon completion of the program a dual diploma - Georgian and French will be issued that gives the alumni more opportunities for employment in the labor market and to proceed with continuous medical education that makes the program attractive.

Since 2015, due to the efforts made by Tbilisi State Medical University and UniMan "Academy of International Management and Performance" (France) joint International Master's Program in "Public Health Management and Health Policy" was developed and launched at TSMU Faculty of Public Health. In 2013 the "US MD Program", a joint project which has been developed and implemented with the cooperation of the Tbilisi State Medical University (TSMU) and Emory University (Atlanta, U.S.) School of Medicine (ESOM) was established.

In 2015, according to the agreement signed between TILAC-'s (Tyrol hospitals Union) - the Western Education Centre (AZW), Georgian-Austrian Bachelor of Nursing program allowing TSMU nurses to be trained and gain international experience in the Clinics of Austria.

TSMU is a full member of the following authoritative international organizations and associations: International Association For Medical Education (AMEE), European University Association (EUA), European Medical Students' Association (EMSA), Eurasian Silk Road Universities Consortium (ESRUC) and etc. TSMU has a close collaboration with World health Organization (WHO) and World Federation for Medical Education (WFME) and etc.

At present, TSMU is the partner of more than 120 universities and University Clinics from 40 countries worldwide; collaboration with them is regulated on the basis of bilateral agreements and / or joint international projects (TEMPUS, ERASMUS MUNDUS, ERASMUS +, MEVLANA).

In 2013, Tbilisi State Medical University has achieved great success in the prestigious competition within the EU educational programs ERASMUS MUNDUS, namely the consortium MEDEA (MEDical UnivErsities Alliance), comprised with the universities of the Western and Eastern Europe, was funded. Tbilisi State Medical University is an initiator, and the regional coordinator of this project.

Within the frames of the program, mobility (one semester or more) of bachelors, masters, doctoral students, post doctoral students and young researchers are fully-funded. Since 2015 TSMU is actively involved in various ERASMUS + projects.

According to the above-mentioned program every year more than 300 students, academic and administrative staff of TSMU participates in short- or long-term mobility programs at undergraduate, master and doctoral levels in US (Emory University, University of Scranton), Germany (Munich Ludwig Maximilian University Clinics, Oldenburg Cardiology Clinic, Berlin Charite University Clinic, Cottbus University Clinic and etc), in Austria (Vein Medical University), in Belgium (Leuven Catholic University), in Poland (Lublin Medical University, Poznan Medical University, Gdansk Medical University), in Bulgaria (Pleven Medical University), in France (Marseille Mediterranean University, Toulouse Paul Sabatier University) and etc.

Tbilisi State Medical University staff participate in the working groups of the main medical education regulatory organizations in Europe - International Association For Medical Education (AMEE) and MEDINE, where the standards of medical education and normative documents are elaborated; It is worthy to mention that from non-EU Universities in MEDINE working groups participated just Tbilisi State Medical University and Ankara University.

Tbilisi State Medical University is on the list of the international directories of WHO and IMED, which allows the graduates to be employed in any country after passing the licensing exam / screening test (USMLE, PLAB, YOK, etc.).

In 2015, 195 students and graduates of TSMU applied to the appropriate regulatory body for passing the United States Medical Licensing Examination (USMLE).

Since 2012 TSMU runs the program that considers invitation of leading Professors of US, EU countries, Great Britain, Turkey and Israel. In 2012-2016, within the frames of the project more than 300 foreign Professors delivered thematic lectures in different fields of basic and clinical medicine and provided medical activity of different types, more than 100 charity operations were performed.

The success of Tbilisi State Medical University, largely determines its international and global image. That's why more and more young people became interested in studying at our University.

An interesting and dynamic educational programs, qualified staff, effective management, education and high internationalization standard of education and activities, modern scientific-research infrastructure - all these conditions are defining increasing success of Tbilisi State Medical University on the international arena.

**MD.Ph.D Davit DelibaSvili,**
**Head of the Department**
**of International Affairs**



**TSMU gives you a chance to improve your profession in the clinics of Tbilisi State Medical University and partner clinics. You choose the profession, choose the way, choose the quality.**



# გილოცავთ მნიშვნელოვან გამარჯვებას!

გულწრფელად მიხარია, რომ საშუალება მომეცა, საჯაროდ გამოვხატო ჩვენი საერთო სიხარული, მოგილოცოთ მნიშვნელოვანი წარმატება და გადმოგცეთ პირადად ჩემი და ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის თითოეული წევრის საუკეთესო სურვილები. მცირე მოცულობის წერილში ძნელია რამდენადმე მაინც ჯეროვნად და სრულყოფილად წარმოაჩინო ის სპეციფიკა თუ წარმატებები, რაც საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტს გააჩნია არსებობის მანძილზე.

ფაკულტეტის არსებობა რვა ათეულ წელზე მეტს ითვლის. ამ ხნის განმავლობაში მომზადდა მრავალი მეცნიერი და სპეციალისტი, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. მათი წარმატებული მოღვაწეობის შედეგად საქართველოში ლიკვიდირებულია ისეთი დაავადებები (მათ შორის, დიფთერია, მალარია და სხვა), რომლებიც დღესაც პრობლემად რჩება მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში.

ფაკულტეტის ძირითადი ამოცანაა სათანადო კომპეტენციის ბაკალავრების, მაგისტრების, დოქტორების მომზადება, რომლებსაც ექნებათ პროფესიული დახელოვნებისა და ჯანდაცვის სფეროში შესაბამისი ფუნქციის სათანადოდ შესრულების შესაძლებლობა.

კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროს წარმოადგენს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის სამსახურები. მათ შორის, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტო, საკუთრების სხვადასხვა ფორმის სამკურნალო-პროფილაქტიკური, სამეცნიერო-კვლევითი და სამრეწველო დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და მათ მომსახურებასთან, მენეჯმენტსა და პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებასთან.

ბაკალავრებს შეუძლიათ აკადემიური განათლება გაიღრმაონ სამაგისტრო პროგრამებზე. დღეისათვის ფაკულტეტზე აკრედიტებულია 5 სამაგისტრო პროგრამა: „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“, „ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა“, „ჯანმრთელობის ხელშეწყობა, ჯანმრთელობითი განათლება“, „ჯანდაცვის ადმინისტრირება და მენეჯმენტი“, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მენეჯმენტი და ჯანდაცვის პოლიტიკა (თსსუ-ისა და უნიმენის (საფრანგეთი) ერთობლივი პროგრამა)“. იგეგმება ახალი სამაგისტრო პროგრამების ამოქმედებაც.

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება მაგისტრის აკადემიური ხარისხი შესაბამის მიმართულებაში და უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში, ხოლო დოქტორის აკადემიური ხარისხის მოპოვების შემდეგ, პრაქტიკული საქმიანობის გარდა, შეუძლია ჩაერთოს აკადემიურ და კვლევით აქტივობაში. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტზე ინტენსიურად მიმდინარეობს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, რომელშიც, აკადემიურ პერსონალთან ერთად, აქტიურად მონაწილეობენ სტუდენტებიც. დარწმუნებული ვარ, ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალთან, პროფესორ-მასწავლებლებთან თქვენი ყოველი შეხვედრა მუდამ იქნება გულთბილი, დაუვიწყარი, ნამდვილი დღესასწაული. ყოველთვის მომღიმარნი, კეთილმოსურნენი და კოლეგიალურნი შეაბიჯებთ უნივერსიტეტის აუდიტორიებში, სადაც დაგხვდებიან დიდი გამოცდილების, ერუდიციისა და დახმარებისათვის მზადმყოფი პედაგოგები. ყოველივე ეს კი იქნება ნებისმიერი საკითხის წარმატებით გადაწყვეტის საწინდარი.

გულითადად გილოცავთ მნიშვნელოვან და თვალსაჩინო წარმატებას. იმედი მაქვს, რომ სწავლის დასრულების შემდეგ თითოეული თქვენგანი, როგორც ღირსეული მოქალაქე, მეცნიერი და კვალიფიციური სპეციალისტი, კუთვნილ წვლილს შეიტანს დარგისა და ქვეყნის განვითარების ფრიად სასიქადულო საქმეში.

**პროფესორი ირაკლი მჭედლიშვილი,
საზოგადოებრივი ჯანდაცვის
ფაკულტეტის დეკანი**

# თქვენ შორის ბევრი წარმატებული რეაბილიტოლოგი იქნება

ძვირფასო პირველკურსელებო! მაქვს პატივი მოგილოცოთ თქვენი ცხოვრების ახალი, განსაკუთრებული ეტაპის დაწყება. თქვენ აირჩიეთ უმნიშვნელოვანესი, რთული და დინამიკური სამედიცინო დარგი, რომლის მიზანია ორგანიზმის ნებისმიერი სისტემის დაავადებით ან დაზიანებით განპირობებული უნარშეზღუდულობის მკურნალობა, ფუნქციის აღდგენა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.

ჩვენს უნივერსიტეტში ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტი ყველაზე ახალგაზრდა და, ამავე დროს, სწრაფი ტემპით განვითარებადი ფაკულტეტია. თანამედროვე სამედიცინო რეაბილიტაცია ეფექტური ჯანდაცვის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, ხოლო სარეაბილიტაციო მართვა, უახლესი მიდგომების გამოყენებით, მოითხოვს მაღალი ხარისხის პროფესიონალიზმს და ცოდნის მუდმივ გაღრმავება-განახლებას. თქვენი პროფესორ-მასწავლებლების თავდაუზოგავი შრომით და ძალისხმევით შეძლებთ შეისწავლოთ რეაბილიტაციის პრინციპები და პროგრამები, რეაბილიტაციის სისტემის ორგანიზაცია და პრაქტიკა, დაეუფლოთ თანამედროვე სარეაბილიტაციო მეთოდებს და ტექნოლოგიებს. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი დაგეხმარებათ ინტელექტუალური შესაძლებლობების რეალიზებაში, უახლესი ცოდნის, პრაქტიკული უნარ-ჩვევების და გამოცდილების შეძენაში, რაც მეტად მნიშვნელოვანია პროფესიული კარიერის განმავლობაში, მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდების და ტექნოლოგიების გამოყენებით, რთული კლინიკური პრობლემის ეფექტურად გადასაწყვეტად.

თქვენ შეიძენთ სამეცნიერო კვლევის უნარ-ჩვევებს და ჩაერთვებით სტუდენტური სამეცნიერო პროექტების განხორციელებაში; დაეუფლებით გუნდური მუშაობის პრინციპებს. თანამედროვე ჯანდაცვა ხომ სულ უფრო მეტად ემყარება მედიცინის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელთა თანამშრომლობას და გუნდურ მუშაობას უსაფრთხო მართვის და საუკეთესო შედეგის მისაღწევად; თქვენ გახდებით კომპეტენტურ და კრეატიულ პროფესიონალთა მულტიდისციპლინური გუნდის წევრი და იმოქმედებთ დინამიკურ სამედიცინო გარემოში.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ფაკულტეტის კლინიკური ბაზების თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვასა და გაძლიერებაზე. მომავალ პროფესიას დაეუფლებით უნივერსიტეტის სხვადასხვა თეორიულ თუ კლინიკურ დეპარტამენტში, თსსუ-ის საუნივერსიტეტო და უნივერსიტეტთან აფილირებულ კლინიკებში.

მჯერა, მომავალი ოთხი წლის განმავლობაში, ცოდნის გაღრმავებასთან ერთად, გაძლიერდება თქვენი თანადგომა და პასუხისმგებლობის გრძნობა პაციენტის ჯანმრთელობაზე. დარწმუნებული ვარ, თქვენ შორის იქნება ბევრი წარმატებული რეაბილიტოლოგი, რაც მტკიცე საფუძველს შექმნის დარგის განვითარებისთვის.

კიდევ ერთხელ გილოცავთ და გისურვებთ წარმატებებს!

**პროფესორი ლელა მასხულია,
ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის
ფაკულტეტის დეკანი**



# გისურვებთ პროფესიულ ზრდას და წინსვლას!

სამედიცინო სფეროში მიმდინარე ფუნდამენტურმა ცვლილებებმა და ჯანმრთელობის პრობლემების კომპლექსურობამ შეცვალა ექთნის/ბებიაქალის როლი თანამედროვე ცხოვრებაში. ამიტომაც, განსხვავებული გამოწვევები წარმოიშვა მათი პროფესიული მზადების თვალსაზრისით.

თანამედროვე საექთნო საქმე მეცნიერება და ხელოვნებაა. ის მოითხოვს კვლევაზე და მტკიცებულებაზე დაფუძნებულ პრაქტიკის წარმოებას; ჰუმანიტარული, ფიზიკური, ბიოლოგიური, ქცევითი მეცნიერებების მომცველ სპეციფიკურ საექთნო ცოდნას და უნარ-ჩვევებს, მენეჯმენტის, ლიდერობის და პედაგოგიკის ბაზისურ ელემენტებს.

საქართველოში რეგისტრირებულ ერთ ექთანზე, საშუალოდ, 1,3 ექიმი მოდის, რაც ექთნების საკმაოდ დიდი დეფიციტის მაჩვენებელია. გლობალური ტენდენციის გამო სამედიცინო პერსონალზე, განსაკუთრებით კი ექთნებზე, მოთხოვნა მუდმივად გადააჭარბებს მიწოდებას, რაც განპირობებულია სამედიცინო სერვისის მრავალფეროვნებით, ამბულატორიული მოვლის საჭიროების გაზრდით და შინმოვლის სერვისის განვითარებით. ყოველივე ეს თქვენს პროფესიას ხდის მოთხოვნადს და პერსპექტიულს.

საექიმო საქმიანობა წარმოუდგენელია კომპეტენტური ექთნის/ბებიაქალის გარეშე. საუნივერსიტეტო განათლება გაძლევთ საშუალებას იყოთ წარმატებულნი და კონკურენტუნარიანნი.

კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს სხვადასხვა დონის დიაგნოსტიკურ, სამკურნალო, პროფილაქტიკურ, რეპროდუქციული ჯანმრთელობის და სარეაბილიტაციო დაწესებულებაში. საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურაში.

თქვენ სწორი არჩევანი გააკეთეთ. გისურვებთ პროფესიულ ზრდას და დიდ წინსვლას საექთნო საქმიანობაში.

**მედეა ჯღარკავა,
პროფესიული პროგრამების
კოორდინატორი**







# დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა გილოცავთ სტუდენტობას!

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ტრადიციულად, ინოვაციური და წარმატებული პროექტებით გამოირჩევა. 2013-2014 სასწავლო წელს მედიცინის ფაკულტეტზე მნიშვნელოვან საგანმანათლებლო პროექტს ჩაეყარა საფუძველი — წარმატებით დაიწყო დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა, რომელიც ემორის უნივერსიტეტის (აშშ, ატლანტა) სამედიცინო სკოლასთან (ESOM) ერთად შემუშავდა.

პროგრამაზე სწავლება ინგლისურენოვანია. პროგრამის ხელმძღვანელები არიან: პროფესორები – რიმა ბერიაშვილი, გიორგი გიორგობიანი (თსსუ-ის მხრიდან) და არჩილ უნდილაშვილი (ემორის მხრიდან).

პროგრამის დაგეგმვასა და იმპლემენტაციაში აქტიურად არიან ჩართულნი ემორის უნივერსიტეტის პროფესორები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები: ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის პროფესორი, საქართველოსა და თბილისის საპატიო მოქალაქე, კენეტ ვოლკერი, ემორის სამედიცინო სკოლის დეკანი ბილ ილი, ვიცე-დეკანი სამედიცინო განათლების სფეროში, სამედიცინო მიკრობიოლოგიისა და იმუნოლოგიის პროფესორი გორდონ ჩერჩვორდი, „გახდი ექიმის“ კურსის ხელმძღვანელი, ონკოლოგიის პროფესორი მერი ჯო ლეკოვიჩი და სხვები. ისინი ხშირად სტუმრობენ თსსუ-ს, მუშაობენ უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებთან.

ორმხრივი ურთიერთობის ფარგლებში ხორციელდება პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის ემორის სამედიცინო სკოლაში ვიზიტი პროგრამის სპეციფიკის ადგილზე გასაცნობად და შესაბამისი მეთოდოლოგიის ასათვისებლად.

სწავლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს მიენიჭება დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხი (MD). წარჩინებულ სტუდენტებს საშუალება ეძლევათ სწავლის, კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობის გარკვეული ეტაპები გაიარონ ემორის უნივერსიტეტში.

აღსანიშნავია, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს ყოველთვის ჰქონდათ აშშ-ის და სხვა საერთაშორისო სალიცენზიო გამოცდების ჩაბარების შესაძლებლობა, თუმცა, საამისოდ ისინი დამატებით მომზადებას საჭიროებდნენ. დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამაში კი სალიცენზიო გამოცდებისთვის მზადება და მათი ჩაბარება თავიდანვე განსაზღვრული და ხელშეწყობილია. სწავლის პერიოდშივე ამერიკის შეერთებული შტატების სამედიცინო სალიცენზიო გამოცდების (United State Medical Licencing Examination-USMLE) წარმატებით ჩაბარება დიპლომირებულ მედიკოსს საშუალებას აძლევს დიპლომისშემდგომი განათლება და სპეციალური პროფესიული მზადება გაიაროს, როგორც საქართველოში, ასევე, მის საზღვრებს გარეთ (მათ შორის, აშშ-ში).

პროგრამა ითვალისწინებს სამედიცინო საბაზისო, პრეკლინიკური და კლინიკური დისციპლინების სრულ ინტეგრაციას. ასეთი სახის სწავლებას აქვს სხვადასხვა სარგებელი: ერთი მხრივ, საბაზისო საგნების სწავლება კლინიკური საკითხებითაა გამდიდრებული; მეორე მხრივ კი — საბაზისო საგნები ისწავლება კლინიკურ დისციპლინებთან ერთად, რაც სტუდენტს აძლევს მოტივაციას ბაზისური მედიცინის შესწავლისთვის. ინტეგრირებული სწავლების ერთ-ერთი მახასიათებელია საბაზისო საგნების შესწავლისას კლინიკური შემთხვევების (პაციენტის, სიმულირებული პაციენტის თუ კლინიკური შემთხვევის (ე.წ. ქეისის სახით) უხვად დემონსტრირება.

ასეთი სახის სწავლების ერთ-ერთი ძირითადი მიზანია სტუდენტის მიერ დამოუკიდებელი სწავლებისა და აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარება, რაც კურსდამთავრებულს ძალზე გამოადგება დიპლომისშემდგომ პერიოდში მთელი სიცოცხლის მანძილზე.

სწავლების პროცესში აქტიურად გამოიყენება თანამედროვე სწავლების მეთოდები: პრობლემაზე და შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება, ასევე, მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინის სწავლება, შემთხვევის დემონსტრაცია ავადმყოფის/სიმულაციური ავადმყოფის მონაწილეობით და სხვადასხვა პროფილის კლინიცისტთა/არაკლინიცისტთა მულტიდისციპლინური გუნდის აქტიური ჩართულობით.

სტუდენტები, სწავლის პირველ ეტაპზე, ბაზისურ ბიოსამედიცინო საგნებთან ერთად, შეისწავლიან ჰუმანიტარულ მეცნიერებებს, როგორიცაა: სოციალურ-კულტურული და სამედიცინო ანთროპოლოგია, ცივილიზაციების ისტორია, ხელოვნების ისტორია, ფილოსოფია, ფსიქოლოგია, მსოფლიო ლიტერატურა — ეს სასწავლო კურსები ამდიდრებს სტუდენტის ცოდნას და აძლევს მას მრავალმხრივ განათლებას. გარდა ამისა, ამერიკული პროგრამის კურიკულუმი მოიცავს მეტად საინტერესო სასწავლო კურსს — „გახდი ექიმი“ (Becoming a Doctor), რომელიც 6 წლის მანძილზე თან სდევს კურიკულუმს და სტუდენტებს სწავლების პირველივე წლიდან ამზადებს კლინიკური პრაქტიკისთვის; კურსი ითვალისწინებს კლინიკურ გარემოში (თსსუ-ის კლინიკური უნარ-ჩვევების და სიმულაციის ცენტრში, ამბულატორიებსა და კლინიკებში) ზოგადი საექიმო უნარ-ჩვევებისა და კლინიკური აზროვნების ჩამოყალიბებას.

სწავლების პროცესში აქტიურად არის ჩართული პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისგან შემდგარი სამუშაო ჯგუფი, ე.წ. კურიკულუმის კომიტეტი, რომელიც პერიოდულად განიხილავს, როგორც მიმდინარე, ასევე, პროგრამის მომავალი განვითარების საკითხებს.

,,ზაფხული ემორიში“ — ასე ჰქვია ერთთვიან პროგრამას, რომელსაც თსსუ და ემორის სამედიცინო სკოლა სთავაზობს თსსუ-ის ამერიკული პროგრამის სტუდენტებს პირველი კურსის დასრულებისას — ყოველწლიურად 10-15 სტუდენტი სტუმრობს ემორის ამერიკული სამედიცინო განათლებისა და ჯანდაცვის სისტემის უშუალოდ გაცნობის მიზნით. აღნიშნული პროგრამა ტრადიციად იქცა და წელს უკვე სტუდენტთა მესამე ნაკადს უმასპინძლებს ემორი.

ძალიან სასიხარულოა, რომ თსსუ-სა და ემორის სამედიცინო სკოლას შორის დადებული ორმხრივი შეთანხმება ითვალისწინებს კლინიკური სწავლების წლებში ჩვენი სტუდენტებისთვის ემორიში კლინიკური როტაციების გავლის საშუალებას. გარდა ამისა, თსსუ უმასპინძლებს ემორის უნივერსიტეტის სტუდენტებს.

კვლევითი კომპონენტი აღნიშნული პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია. აღსანიშნავია, რომ 2016 წლის გაზაფხულზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და აშშ-ის ვოლტერ რიდის არმიის კვლევითი ინსტიტუტის (WRAIR) საქართველოს წარმომადგენლობას შორის გაფორმდა მემორანდუმი. ზემოხსენებული დაწესებულება განთავსებულია რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრალური რეფერალური ლაბორატორიის ცენტრში. პროექტის ფარგლებში განხორციელებული თანამშრომლობით ვოლტერ რიდის არმიის კვლევითი ინსტიტუტი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქართული სამედიცინო განათლების და სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში, უპირველესად, ამერიკული პროგრამის ფარგლებში.

ჩვენს პროგრამაში ტრადიციად იქცა „თეთრი ხალათების“ ცერემონიალი — ასე ეგებებიან და გზას ულოცავენ ამერიკული პროგრამის პირველკურსელებს, არა მხოლოდ უნივერსიტეტისა და პროგრამის ადმინისტრაციის, არამედ პროგრამის მუდმივი მხარდამჭერების — საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს, საქართველოში ვოლტერ რიდის სამედიცინო ცენტრის, ემორის უნივერსიტეტის წარმომადგენლები და სხვ.

საქართველო, აშშ, ინდოეთი, შრი ლანკა, არაბეთის გაერთიანებული ემირატები, ისრაელი, ბრაზილია, სამხრეთ კორეა — ეს იმ ქვეყნების ჩამონათვალია, რომელთა წარმომადგენლებიც ჩვენი პროგრამის სტუდენტები არიან. გილოცავთ! თქვენ შეუერთდით უძლიერეს ჯგუფს დიდი პერსპექტივით. წარმატებით გევლოთ ამ გზაზე!

**არჩილ უნდილაშვილი,**
**დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის ხელმძღვანელი, ემორის უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროფესორი**



# მნიშვნელოვანი მიღწევებით საერთაშორისო ასპარეზზე

პირველკურსელებო, თქვენ უკვე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიდი ოჯახის წევრები ხართ და უნდა იცოდეთ, რა პერსპექტივებს გთავაზობთ ახლა უკვე თქვენი ალმა მატერი.

მნიშვნელოვანია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიღწევები საერთაშორისო ურთიერთობების ასპარეზზე.

ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამებს სამედიცინო უნივერსიტეტში განვითარების ოცწლიანი ისტორია აქვს. ამჟამად თსსუ-ში 2000-ზე მეტი უცხოელი სტუდენტი სწავლობს მსოფლიოს 53 ქვეყნიდან, მათ შორის: ინდოეთიდან, შრი-ლანკადან, თურქეთიდან, აშშ-დან, კანადიდან, ისრაელიდან, გერმანიიდან, ნიგერიიდან, ერაყიდან, ავსტრალიიდან, ფიჯიდან, ცენტრალური ამერიკიდან და სხვ.

2012 წელს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტზე გაიხსნა და აქტიურად ვითარდება საბაკალავრო პროგრამა – „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი“, რომელიც შემუშავდა გრენობლის (საფრანგეთი) მენეჯმენტისა და აღსრულების აკადემიასთან (UniMan) ერთობლივად. პროგრამის დასრულების შემდგომ გაიცემა ორმაგი დიპლომი — ქართული და ფრანგული, რაც კურსდამთავრებულთა დასაქმების და სწავლის გაგრძელების არეალს კიდევ უფრო გააფართოებს და მიმზიდველს გახდის. 2015 წლიდან კი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და UniMan-ის ძალისხმევით, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტზე შეიქმნა ერთობლივი საერთაშორისო ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა — ,,საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მენეჯმენტი და ჯანდაცვის პოლიტიკა”.

2013 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ამოქმედდა დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა, რომელიც შემუშავდა და განხორციელდა ემორის უნივერსიტეტის (აშშ, ატლანტა) მედიცინის სკოლასთან ერთად.

TILAK-ის დასავლეთის საგანმანათლებლო centr-AZW-სა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, 2015 წელს ამოქმედდა საგანმანათლებლო პროგრამა ექთნებისთვის, რომელიც ქართველ ექთნებს საშუალებას აძლევს სტაჟირება გაიარონ და საერთაშორისო გამოცდილება მიიღონ ავსტრიის კლინიკებში.

თსსუ არის შემდეგი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ასოციაციების წევრი: ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაცია (AMEE), ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაცია (EUA), ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაცია (EMSA), ევრაზიის აბრეშუმის გზის უნივერსიტეტთა კონსორციუმი (ESRUC) და სხვ. თსსუ მჭიდროდ თანამშრომლობს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციასთან (WHO), სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციასთან (WFME) და ა.შ.

ამჟამად თსსუ-ის პარტნიორია 120-ზე მეტი უნივერსიტეტი და საუნივერსიტეტო კლინიკა მსოფლიოს 40-ზე მეტი ქვეყნიდან; მათთან თანამშრომლობა რეგულირდება ორმხრივი ხელშეკრულებებით და/ან ერთობლივი საერთაშორისო პროექტების (TEMPUS, ERASMUS MUNDUS, ERASMUS +, MEVLANA) ფარგლებში.

2013 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა მიაღწია უდიდეს წარმატებას ევროკავშირის საგანმანათლებლო პროგრამა – ERASMUS MUNDUS-ის ფარგლებში გამართულ პრესტიჟულ კონკურსში, კერძოდ, დაფინანსდა კონსორციუმი MEDEA (MEDical UnivErsities Alliance), რომელიც დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის ცნობილი სამედიცინო უნივერსიტეტებისგან შეიქმნა. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი არის ამ პროექტის ინიციატორი და რეგიონული კოორდინატორი.

პროგრამის ფარგლებში სრულად ფინანსდება მობილობა (ერთი ან მეტი სემესტრის) ბაკალავრების, მაგისტრების, დოქტორანტების, პოსტდოქტორებისა და ახალგაზრდა მკვლევრებისათვის. 2015 წლიდან თსსუ აქტიურად მუშაობს ERASMUS + პროექტებში ჩართულობისათვის.

აღნიშნული პროგრამებით ყოველწლიურად უნივერსიტეტის 300-ზე მეტი სტუდენტი, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი მონაწილეობს მოკლე თუ გრძელვადიან მობილობის პროგრამებში განათლების დიპლომამდელ, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე აშშ-ში (ემორის უნივერსიტეტი, სკრენტონის უნივერსიტეტი), გერმანიაში (მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო კლინიკები, ოლდენბურგის კარდიო-ქირურგიული კლინიკა, ბერლინის შარიტეს უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო კლინიკა, კოტბუსის საუნივერსიტეტო კლინიკა და სხვ.), ავსტრიაში (ვენის სამედიცინო უნივერსიტეტი), ბელგიაში (ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი); პოლონეთში (ლუბლინის, პოზნანის, გდანსკის სამედიცინო უნივერსიტეტები), ბულგარეთში (პლევენის სამედიცინო უნივერსიტეტი), საფრანგეთში (მარსელის ხმელთაშუა ზღვის უნივერსიტეტი, ტულუზის პოლ საბატიერის სახელობის უნივერსიტეტი) და სხვ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მონაწილეობს ევროპაში სამედიცინო განათლების ძირითადი მარეგულირებელი ორგანიზაციების - ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის (AMEE) და MEDINE-ს სამუშაო ჯგუფებში, სადაც მიმდინარეობს სამედიცინო განათლების სტანდარტების შემუშავება და ნორმატიული დოკუმენტების შექმნა; საყურადღებოა, რომ MEDINE-ს სამუშაო ჯგუფებში არაევროკავშირის უნივერსიტეტებიდან მხოლოდ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო და ანკარის უნივერსიტეტებია.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი შეტანილია WHO-ის და IMED-ის საერთაშორისო დირექტორიებში, რაც საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულებს შესაბამისი სალიცენზიო გამოცდის/სკრინინგ ტესტის ჩაბარების შემდეგ (USMLE, PLAB, YOK და სხვ.), დასაქმდნენ ნებისმიერ ქვეყანაში.

2015 წელს აშშ-ის სალიცენზიო გამოცდების (USMLE) ჩასაბარებლად შესაბამის მარეგულირებელ ორგანოს განცხადებით მიმართა თსსუ-ის 195-მა სტუდენტმა და კურსდამთავრებულმა.

2012 წლიდან სამედიცინო უნივერსიტეტში წარმატებით ხორციელდება პროგრამა, რომელიც გულისხმობს აშშ-ის, ევროკავშირის ქვეყნების, დიდი ბრიტანეთის, თურქეთის და ისრაელის უნივერსიტეტების წამყვანი პროფესორების მოწვევას. ამ პროგრამის ფარგლებში 2012 -2016 წლებში სამედიცინო უნივერსიტეტში თემატური ლექციები საბაზისო და კლინიკური მედიცინის სხვადასხვა დარგში წაიკითხა და სხვადასხვა ტიპის სამედიცინო აქტივობა განახორციელა 300-ზე მეტმა უცხოელმა პროფესორმა; ჩატარდა 100-ზე მეტი საქველმოქმედო ოპერაცია.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარმატებები მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მის საერთაშორისო იმიჯს. სწორედ ამიტომ, ჩვენთან სწავლის ინტერესი უფრო და უფრო მეტი ქვეყნის ახალგაზრდას უჩნდება.

საინტერესო და დინამიკური საგანმანათლებლო პროგრამები, კვალიფიციური პროფესურა, ეფექტური მენეჯმენტი, განათლებისა და საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის მაღალი სტანდარტი, თანამედროვე საგანმანათლებლო-კვლევითი ინფრასტუქტურა — ეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საერთაშორისო ასპარეზზე მზარდი წარმატებების განმსაზღვრელი პირობებია.

**დავით დელიბაშვილი,**
**საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, მედიცინის აკადემიური დოქტორი**

# პირველკურსელთა საყურადღებოდ!

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მოქმედებს სპორტის და ხელოვნების ცენტრი, სადაც შესაძლებლობა გექნებათ შემოქმედებითი ნიჭი გამოავლინოთ არაერთი მიმართულებით:

**ხელოვნების მოყვარულთათვის ფუნქციონირებს:**

- **სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლი – ქორეოგრაფიული ჯგუფი, ვაჟ მომღერალთა გუნდი, ხალხურ საკრავთა ჯგუფი;**
- **გოგონათა ტრადიციული მუსიკის ანსამბლი „დეკა“;**
- **დრამატული თეატრი „ჰიგია“;**
- **თანამედროვე და სამეჯლისო ცეკვების ანსამბლი „ვეგა“;**
- **კლასიკური მუსიკის ჯგუფი:**
- **საესტრადო სიმღერის ჯგუფი;**
- **მხიარულთა და საზრიანთა გუნდი „კოზა ნოსტრა“.**

**სპორტულ სექციებში:**

- **კალათბურთი;**
- **მინი ფეხბურთი;**
- **ფუტსალი;**
- **მაგიდის ჩოგბურთი;**
- **ფრენბურთი(გოგონები, ვაჟები);**
- **ჭადრაკი;**
- **ძალისმიერი სამჭიდი;**
- **მკლავჭიდი;**
- **რაგბი.**

ამასთანავე, სტუდენტების აქტიური დასვენებისა და სპორტული ცხოვრების განუყოფელი ნაწილია უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ტრენაჟორების დარბაზი გოგონებისა და ვაჟებისთვის ცალ-ცალკე.

დაინტერესების შემთხვევაში, მიმართეთ თსსუ-ის სპორტისა და ხელოვნების ცენტრს.

**მისამართი:** III სასწავლო კორპუსი, I სართული.

**ტელ:** 25424233

„სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია
ვაჟა-ფშაველას გამზირი №33,
ოთახი №600,
ტ.: 254-24-64

რედაქტორი
**ლელა ჯიყაშვილი**
კორესპონდენტები:
**მანანა ფხალაძე**
ტ.:555 29 98 27
**დარეჯან კომლაძე**
ტ.:558 17 08 47
**ნატო ბოლქვაძე**
ტ.:555 28 28 97
ელ-ფოსტა
newspapertsmu@gmail.com